

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 22 ივლისის ბრძანება N:: 201/01-01 საფუძველზე - ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ივლისის №: 91/2024 დადგენილების პუნქტი 2-ის საფუძველზე დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

„17“ სექტემბერი 2024 წ.

თსუ XI კორპ. ოთახი #547

16:00 სთ,

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი:

1. დიანა ძიძიგური - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანა კომორიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მანანა გორდეზიანი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. (კომისიის მდივანი);
4. მაკა მურვანიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ.;
5. მაგდა ალანია - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ..

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტზე - გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი, მეორე ეტაპებისა და საცდელი ლექციის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის, საცდელი ლექციისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ყველა ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის** ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა

ბიოლოგიის დოქტორმა **ნინო არჩვაძემ**

ნინო არჩვაძე

აღინიშნა, რომ კონკურსსანტ ნინო არჩვაძის **განათლება (1985-1991 წ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი.; სპეციალობა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი**1991-1993 წ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, **ასპირანტი** განხრით - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია;

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი: # 002463;
სამსახურებრივი გამოცდილება - (2016 წლიდან დღემდე ასისტენტ პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი მიმართულება - გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია; 2007 - 2016 -ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი, უფროსი ლაბორანტი; 2006 -2007 - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი; 1996-2006 - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ბიოპროცესების კომპიუტერული მოდელირების ს/კ ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომელი; უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის დოცენტი) და **პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა I **კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება** (1996 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა უფროსი ლაბორანტის, მეცნიერ თანამშრომლის, დოცენტის, მოწვეული პედაგოგის, ასისტენტ პროფესორის თანამდებობები. იყო ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზიის წამყვანი მასწავლებელი (ბუნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ბიოლოგია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,) და **საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა** (1. სახელმძღვანელოს „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ - თანაავტორი, რედაქტორი. მომზადდა ევროკავშირის პროექტის (ENI/2020/417-316) „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში“ ფარგლებში. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 2021. 2. „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ - სავარჯიშოების კრებული. რედაქტორი. მომზადდა ევროკავშირის პროექტის (ENI/2020/417-316) „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში“ ფარგლებში. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 2021. *Laboratory Practice Manual (Eng.)*, 2020 – 4.6 თავის - *The Ethic at Laboratory* - თანაავტორი. მომზადდა Erasmus + პროგრამის პროექტის “*Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe*» (Ag-Lab), project KA2 n° 586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP (2017-2978/001-001) ფარგლებში. AgLab_Manual_Final_Version_GEO_1.pdf (tsu.ge) 4. ლიცენზირებული თარგმანი-William J. Thieman, Michael A. Palladino. *Introduction to Biotechnology*. 2th edition Benjamin Cummings. 2008/უილიამ ჯ. თიემენი, მაილუკ ა. პალადინო. ბიოტექნოლოგიის შესავალი. თსუ გამომცემლობა. 2015. მთარგმელთა ჯგუფის წევრი; 5 . ნ. არჩვაძე, ე. ჩერქეზია. კვლევის დაგეგმვა და მეთოდოლოგია. სახელმძღვანელო. გამოიცა ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის MAPB პროექტის ფარგლებში. „კრეატივ ბუტიკი“. თბილისი. 2013. 6. ბიომეცნიერებების საბაკალავრო პროგრამების დარგობრივი სტანდარტული დებულებები. თანაავტორი (TEMPUS, DABB). თბილისი, 2012.7. PASCO Scinetific-ის გზამკვლევი „*Biology through Inquiry (Teacher Guide - Biology PS-2870A)*“. თარგმანი ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის SALiS პროექტის ფარგლებში. (2012). **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები** - (2022 - *Georgian Experience in Laboratory Diagnostics of Food and Veterinary Medicine using Molecular Genetic Methods*”; 2022 - ტრენინგი ევროკავშირის საგრანტო პროექტის - EuropeAid/164732/DH/ACT/GE - „ლაბორატორიული ჯანდაცვისა უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის“ (*Laboratory Health and Safety LLL Courses for Youth in West and East Georgia*) ფარგლებში - ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები; 2021 - ლაბორატორიული ანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსების ტრენინგთა მოსამზადებელი ტრენინგი - ევროკავშირის საგრანტო პროექტის - EuropeAid/164732/DH/ACT/GE - „ლაბორატორიული ჯანდაცვისა უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის“ (*Laboratory Health and Safety LLL Courses for Youth in West and East Georgia*) ფარგლებში; 2021 - *Training Week within the Erasmus+ Program Capacity Building Project „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/ at the Faculty of Bioscience and Technology for Food Agriculture and Environment*;

2021 - Training Sessions within the Erasmus+ Program Capacity Building Project „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/; 2020 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ონლაინ ტრენინგების ციკლი: 1.დავალების შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე 2. ტესტების შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე 3.სტუდენტთა შეფასების მეთოდები; 2019 - „Improving skills in laboratory practice for agrofood specialists in eastern Europe /Ag-Lab/“. Training topics: use of Moodle Platform for the laboratory training course; Seed quality parameters; RNA isolation in transcriptome studies; Multivariate statistics: a practical approach for food analysis; Genetics and molecular genetics analysis; Traceability at laboratories; Application of PCR based methods for food monitoring; Molecular approach for traceability of animal products. TSU, CIU&LMA. 22-25 October, Tbilisi, Georgia; 2018 - „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/“. Training topics: NMR Methods, Validation of Complex Equipment, Metrology, Internal Audit in Labs . Stepan Gzhyskyi National University of Veterinary Medicine and Biotechnologies, 4-5 December, Lviv, Ukraine; 2018 - „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/. Institute of Higher Education in Food Science, Animal Health, Agricultural and Environmental Sciences, VetAgroSup. 23-27 April, Lion, France; 2018 - „Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe /Ag-Lab/: Laboratory Practice Organization, Accreditation of Laboratories, Validation of Analysis, Metrology Provision of Labs. 15-18 January, Kiev, Ukraine. 2015 - German Cooperation – გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტი (PTB), ფრიზენიუსის უნივერსიტეტი - PTB-ს ტექნიკური კოოპერაციის პროექტის “სურსათის საგამოცდო შესაძლებლობებისა და მეტროლოგიის შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში” (PTB ნომერი 95097, BMZ-Nr.2014.2204.7) ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ტრენინგი – “სურსათის ახალი დამაბინძურებლები“. საქართველო; 2013 -ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის რეგიონალურ სემინარი „ადამიანური რესურსების მართვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“. კიშინიოვი (მოლდოვეთი); 2012 -საქართველო - ტრენინგები UNDP/GEF EU Kura Aras საერთაშორისო პროექტის ფარგლებში: წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვა; 2012 - პროგრამის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა, საერთაშორისო მობილობა - ტრენინგი ევროკავშირის TEMPUS პროგრამის ფარგლებში (MAPB) - ალიკანტეს უნივერსიტეტი, ესპანეთი; 2011 -პროგრამის მართვა, ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია, დისტანციური სწავლება. ტრენინგი ევროკავშირის TEMPUS პროგრამის ფარგლებში (MAPB). დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი, ინგლისი ; 2008 - კურიკულუმის შექმნა, განათლების განვითარება, მოდულარული სისტემა, სწავლების თანამედროვე მიდგომები, ხარისხის უზრუნველყოფა- ტრენინგი ევროკავშირის TEMPUS პროგრამის ფარგლებში (DABB). დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი, ინგლისი) მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას “მაღალი”.

III კატეგორია-სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 3 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 23, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო

ცენტრებთან (11). **ბოლო 6 წლის განმავლობაში** - მონაწილეობა მიიღო 1 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, იყო 4 საგრანტო პროექტის მონაწილე, მისი ციტირების ინდექსია 5/1/1, სამეცნიერო კვლევების თემატიკა კი ნაკლებად არის პროფილის შესაბამისი და მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი** მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული, თუმცა არ არის ვაკანსიის პროფილის შესაბამისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“**.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

1. საბაკალავრო პროგრამის - „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ კოორდინატორი (2019 წლიდან)
2. გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგიის მე-2 საერთაშორისო სკოლა - კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი (2019)
3. სტუდენტების ხელმძღვანელობა - 5 სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, თანახელმძღვანელობა რეგენზირება.
4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო კომიტეტების წევრი (ბიოლოგია, ეკოლოგია) (2018 წლიდან)

დამატებითი ინფორმაცია -

1. **საქართველოში ევროკავშირის ელჩის დიპლომი** თსუ-ში ევროკავშირის ტემპუსის პროექტის - „სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიომეცნიერებებში ქართულ და სომხურ უნივერსიტეტებში“ ფარგლებში **თსუ-ში გამოყენებითი ბიომეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაში შეტანილი წვლილისათვის** (2013)
2. **ენების ცოდნა:** ინგლისური (კარგად); რუსული (თავისუფლად),
3. **კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:** ძალიან კარგი - Microsoft Office; Adobe PhotoShop CS; Adobe InDesign; Corel Draw; STATISTICA, SPSS; ZOOM, Teams და სხვა
4. **ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული, მეუღლე და 2 ქალიშვილი

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ

შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები. კონკურსანტ ნინო არჩვაძის უნარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გასაუბრების ეტაპის დასრულების შემდეგ, დამატებით საცდელი ლექციის ჩატარების თაობაზე.

საცდელი ლექცია ჩატარდა დადგენილ დროს. ლექციის თემა, ფორმატი და ხანგრძლივობა წინასწარ იყო განსაზღვრული. ლექციის დასრულების შემდეგ მომხსენებელმა უპასუხა სალექციო თემის ირგვლივ წამოჭრილ კითხვებს. აღნიშნული საკონკურსო ეტაპის შედეგების განხილვისას კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ ნინო არჩვაძის ლექცია და კითხვებზე პასუხები იყო პედაგოგიურად გამართული, ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის გასაგები, იგრძნობოდა ლექტორის გამოცდილება.

შეფასების პირველი, მეორე ეტაპებისა და საცდელი ლექციის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ ნინო არჩვაძის კანდიდატურას. კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია:

ნინო არჩვაძე - 5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო - მეთოდური მუშაობის, სამეცნიერო აქტივობისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების გამოცდილების შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი

ნინო არჩვაძე

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა


თარიღი 17.09.2024

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.



/დ. მიბიძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.




/ნ. კომორიძე/

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.




/მ. გორდუზიანი/

კომისიის წევრი, პროფ.



/მ. მურვანიძე/

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.



/მ ალანია/